ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723122001
თარიღი:02/05/2023

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის**

**საკრებულოს მორიგი სხდომის**

**ოქმი N-6**

**დ. ლენტეხი. 28/აპრილი/2023წ.**

**მიმდინარე წლის 28 აპრილს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 ( ცამეტი) წევრი.**

1. **მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ხელმძღვანელები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პირების - სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების, საბიბლიოთეკო გაერთიანების და ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორები.**

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და დამხმარე სპეციალისტი ანა ლიპარტელიანი.**

**სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

**1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.**

**/მომხსენებელი ბაჩუკი გაზდელიანი/**

**2. მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში - 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 15 აპრილამდე გამარტივებული შესყიდვის წესით შესრულებული სამუშაოების შესახებ.**

**/მომხსენებელი ტახუ ჩანქსელიანი/**

**3. შ.პ.ს ,,გზა 2015“- ის ანგარიში 2022 წლის 15 სექტემბრიდან დღემდე - შ.პ.ს-ს მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.**

**/მომხსენებელი გულივერ ლიპარტელიანი/**

**4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის შესახებ.**

**/მომხსენებელი ლამზირა გუგავა/**

**5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.**

**/მომხსენებელი მევლუდ ლიპარტელიანი/**

**6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პირების - სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების, საბიბლიოთეკო გაერთიანების და ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ა დირექტორების ნგარიშები 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**/შესაბამისი აიპიების ხელმძღვანელები/**

**7. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - კულტურის დამსახურებული მუშაკის ჯუმბერ მუკბანიანის სასაფლაოს კეთილმოწყობისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე.**

**/მომხს. მედიკო ხვისტანი/**

**8. სხვადასხვა.**

**სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრის პროექტთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ სხდომის დაწყების წინ მერიიდან შემოვიდა საკითხი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მისაღების და ოთახის რეაბილიტაციის სამუსაოების პროექტის მოწონების თაობაზე“. შეგვიძლია საკითხი ჩავამატოთ დღის წესრიგში.**

**დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ - დღის წესრიგიდან ამოღებული იქნას საკითხი -შ.პ.ს ,,გზა 2015“- ის ანგარიში 2022 წლის 15 სექტემბრიდან დღემდე - შ.პ.ს-ს მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ანაგარიში არ არის სათანადო დონეზე მომზადებული.**

**სხდომის წევრებმა ღია კენჭისყრით:**

**მომხრე -13**

**წინააღმდეგი -0**

**დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით;**

**1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.**

**/მომხსენებელი ბაჩუკი გაზდელიანი/**

**2. მერიის საფინანსო სამსახურის 2023 წლის სამი თვის ანგარიში და ანგარიში - 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 15 აპრილამდე გამარტივებული შესყიდვის წესით შესრულებული სამუშაოების შესახებ.**

**3 ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის შესახებ.**

**/მომხსენებელი ლამზირა გუგავა/**

**4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.**

**/მომხსენებელი მევლუდ ლიპარტელიანი/**

**5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პირების - სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების, საბიბლიოთეკო გაერთიანების და ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიშები 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**/შესაბამისი აიპიების ხელმძღვანელები/**

**6. თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - კულტურის დამსახურებული მუშაკის ჯუმბერ მუკბანიანის სასაფლაოს**

**კეთილმოწყობისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე. /მომხს. მედიკო ხვისტანი/**

**7. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მისაღების და ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე".**

**/მომხს. დემური ლიპარტელიანი/**

**8. სხვადასხვა.**

1. **მოისმინეს: მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ირა გვიჭიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.**

   **საკითხთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები, კერძოდ რატომ იყო აღნიშნული ავტომანქნების ღირებულება ნაკლები სახელმწიფო უწყებების მიერ გადმოცემის დროს დაფიქსირებულ ღირებულებასთან შედარებით. შესაბამისად საკრებულოს წევრები დაინტერესდნენ ექსპერტიზის დასკვნით, თუ რამ გამოიწვია ფასების ასეთი კლება, მით უმეტეს, რომ ეს ავტომანქნები არ იმყოფება ექსპლოატაციაში და შესაბამისად არ აქვთ ცვეთა ამ ერთი წლის მანძილზე**

   **სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ რადგანაც გვაქვს შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით და ვერ მოხერხდა ამ საკითხის გავლა სკრებულოს შესაბამის კომისიაზე და ბიუროს სხდომაზე, ამიტომ სწორად მიმაჩნია საპრივატიზაციო ნუსხიდა ამოვიღოთ სამი ავტომანქანა და დავამტკიცოთ ნუსხის პირველი და მეორე გრაფა.**

   **ღია კენჭისყრით მომხრე -13**

   **წინააღმდეგი -0**

   **გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაცი ქონების ნუსხა, მაგრამ ნუსხიდან ამოღებული იქნა სახელმწიფო უწყებების მიერ 2022 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტზე გადმოცემული სამი ავტომანქანა იმ მიზეზით, რომ მერიის მიერ წარმოდგენილ საპრივატიზაციო ნუსხაში დაფიქსირებული ავტომანქნების ღირებულება მკვეთრად ნაკლებია გადმოცემის დროს დაფიქსირებულ ღირებულებებთან შედარებით. დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი მომავალი სხდომისთვის.**

   **2..მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის სამი თვის ანგარიში და ანგარიში 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 15 აპრილამდე გამარტივებული შესყიდვის წესით შესრულებული სამუშაოების შესახებ.**

   **აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებმა ლამზირა გუგავამ და მევლუდ ლიპარტელიანმა. ეს საკითხი დაწვრილებით იქნა განხილული საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და ყველა შეკითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი.**

   **სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.**

   **ღია კენჭისყრით:**

   **მომხრე -13**

   **წინააღმდეგი -0**

   **გადაწყვიტეს: საფინანსო სამსახურის 3 თვის ანგარიში - მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეფასდეს დადებითად, მაგრამ გამარტივებული წესით შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით - საკრებულოს მხრიდან არის თხოვნა, რომ გავითვალისწინოთ სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაცია და მაქსიმალურად თავი შევიკავოთ ასეთი სახის ხელშეკრულებებზე. საჯაროობის და გამჭვირვალობის მიზნით ჩატარდეს ტენდერები და არ აყოს მასიური ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულებები;**

2. **მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის შესახებ.მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) და საკრებულოში ხელშეკრულებით აყვანილ ქალ თანამშომლებს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გვინდა გამოვუწეროთ 250**

ლარიანი დანამატები. შესაბამისად 2000(ორი ათასი) ლარი უნდა გადავიდეს შრომის ანაზღაურების სახელფასოს სარგოს მუხლიდან დანამატის მუხლში. საკრებულოს წევრებმა ერთხმად ხმარი დაუჭირეს აღნიშნულ განკარგულების პროექტს.

გადაწვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის

2023 წლის ბიუჯეტში კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის

შესახებ.

3. მოისმინეს: მერიის კულტურის, განათლების, სპორტულ ღონისძიებების და რელიგიის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - ,,ანსამბლ ,,მიჟე ნარის“ ხელმძღვანელის აწ. გარდაცვლილი ჯუმბერ მუკბანიანის სასაფლაოს კეთილმოწყობისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე. მან ვრცლად ილაპარაკა ჯუმბერ მუკბანიანის შემოქმედებით, ღირსეულად გავლილ ცხოვრებაზე და დააფიქსირა კულტურის სამსახურის ინიციატივა 1000 ლარის გამოყოფაზე.

4. საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს წინადადებაზე - კულტურის დამსახურებული მუშაკის ჯუმბერ მუკბანიანის სასაფლაოს კეთილმოწყობისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 1000(ერთი ათასი) ლარის გამოყოფის თაობაზე.

5. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მისაღების და ოთახის რეაბილიტაციის სამუსაოების პროექტის მოწონების თაობაზე“.

საკითხის განხილვას მოჰყვა კამათი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებმა ირაკლი ქურასბედიანმა და ლამზირა გუგავამ. აღნიშნეს, რომ აუცილებელია გაკეთდეს მერის ოთახი, მაგრამ შეიძლება უფრო მოკრძალებულ ფასებში იქნეს შეძენილი მერის ოთახის ავეჯი და ამ პროექტში იქნეს გათვალისწინებული სააქტო დარბაზის მოწყობაც, რომელიც ამდენი წელია არის მოწყობლად.

აღნიშნული აზრი გაიზირეს საკრებულოს სხვა წევრებმა.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი მერიიდან შემოვიდა სხდომის დაწყების წინ. ვერ მოესწრო განხილვა საკრებულოს კომისიის და ბიუროს სხდომებზე, შესაბამისად გაჩნდა კითხვებიც. ამ პროექტში ძირითადი ფინანსური დანახარჯი ითვალისწინებს ინვენტარის შეძენას,აუცილებელად უნდა გაკეთდეს მერის ოთახი და მისაღები ოთახი, მაგრამ შეიძლება ავეჯი შეძენილი იქნას კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე.

გარკვეული მსჯელობის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყის შედეგად:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: გაეგზავნოს მერს მომართვა შემდეგი სახით - რომ საკრებულოს წევრებმა

თავი შეიკავეს ამ ეტაპზე ამ პროექტის მოწონებაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შეიძლება აღნიშნული ტიპის საოფისე ინვენტარი შეძენილი იქნას კონსოლიდირებული ტენდერის სახით , რაც ითვალისწინებს ნაკლებ დანახარჯებს და ამავე დროს სასურველია,

**თუ პროექტში გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზის კეთილმოწყობაც.**

**აქვე აღინიშნა, რომ პროექტები მერიიდან საკრებულოში შემოვიდა დაგვიანებით, ვერ მოესწრო განხილვა საკრებულოს კომისიების და ბიუროს სხდომებზე, შესაბამისად გაჩნდა კითხვებიც და ამან ხელი შეუშალა დადებითი გადაწყვეტილებების მიღებას.**

**საკითხები დაზუსტდება საკრებულოს შესაბამისი კომისიის სხდომაზე და ამის სემდეგ მერის მომართვის საფუძველზე ჩატარდება რიგგარეშე სხდომა.**

**მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.**

**საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ყოფილა.**

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე -13**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.**

6. **მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პირების სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების, საბიბლიოთეკო გაერთიანების და ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ანგარიშები 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ილაპარაკეს მათ აიპიებში არსებულ პრობლემებზე. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის გულის ტკივილი იმის თაობაზე, რომ შესაბამისი თანხების არქონის გამო მუზეუმი ვერ ახერხებს შეიძინოს მოსახლეობაში არსებული ძველი ნივთები და ეს ნივთები ხვდება სხვა მუნიციპალიტეტების მუზეუმებში, ამავე დროს აღნიშნა, რომ ტვიბლეთის მუზეუმის დაკარგვის შემდეგ იყო მცდელობა ჩუკულში მუზეუმის გახსნაზე, მაგარამ ელემენტარული თანხების არარსებობის გამო ვერ მივიყვანეთ ეს საქმე ბოლომდე. ბაგა-ბაღების დირექტორმა დირექციის სახელით მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელმძღვანელობას ხელფასების მომატებისთვის, მაგრამ აღნიშნა, რომ ბავშვებთან გვაქვს საქმე და შესაბამისი სტანდარტები რომ დავაკმაყოფილოთ ძალიან დიდი შრომაა საჭირო..**

**სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა აიპიების ხელმძღვანელებს წარმოდგენმილი ინფორმაციებისთვის და დაპირდა სამომავლოდ ყველა საკითხის მოგვარებაში თანადგომას.მან აღნიშნა, რომ მუზეუმი არის ჩვენი რაიონის სავიზიტო ბარათი და უნდა ვიზრუნოთ მის ღირსეულად წარმოჩენაზე. აქვე მიუთითა, რომ პრობლემის შემთხვევაში პროცესი დაიწყონ შესაბამის ინსთაციაში წერილობითი ფორმით და ამის შემდეგ საკრებულოც მის წვლილს შეიტანს საკითხების დადებითად გადაჭრაში.**

**მან მადლობა გადაუხა სკოლამდელი დაწესებულების ბაგა-ბაღის დირექტორს ცირა ლიპარტელიანს მონდომებული მუშაობისთვის და სთხოვა, სამომავლოდ გაეთვალისწინებინა ბაღებში ბავშვების მიღება წლინახევრის ასაკიდან.**

**საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა მართა ლიპარტელიანმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელმძღვანელობას ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სველი წერტილების მოწყობისთვის და დააფიქსირა თხოვნა თანამედროვე ლიტერატურის შესაძენად თანხის დამატებაზე.**

**საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს აიპიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები .**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 15 საათზე სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.**

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი